808
ჯ-46

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

რამაზ ჭილაია

ავტორი და სინამდვილის მხატვრული ათვისების პრობლემები

10.01.08. ლიტერატურის თეორია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2005

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

ოფიციალური ოპონენტები: **მირესაშვილი მაია,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.08)

თუხარელი დიმიტრი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.08)

ლომიძე გივი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.08)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 23·IX
12 00 საათზე. 93 აუდიტორიაში, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო
საბჭოს P 10. 12 № 6 სხდომაზე.
მისამართი: 0218, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 1.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.
მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 19·VIII

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თ. კიკაჩეიშვილი

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института иностранных языков

-2011-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა: ლიტერატურათმცოდნეობაში ერთ-ერთ ყველაზე საკამათო საკითხს ავტორისათვის კუთვნილი ადგილის მიჩენა წარმოადგენს. თანამედროვე თეორიული გააზრებით, საუბარია ავტორის როლზე, ტექსტისა და მისი შემქმნელის ურთიერთმიმართებაზე, იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც ავტორის ტექსტის აზრსა და შინაარსზე ეკისრება.

ლიტერატურა და სინამდვილე ურთიერთზე მოქმედებს; ლიტერატურა თავისად მოაქცევს სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენას და უკვე გადამუშავებულს, სტრუქტურულად ჩამოყალიბებულს, უბრუნებას მას შემდგომი ტრანსფორმაციისათვის.

კვლევის მიზანი და მეთოდი: თანამედროვე ხედვის პოზიციიდან გამოკვლეულია ავტორისა და მხატვრული რეალობის ურთიერთმიმართების პრობლემები.

ნაშრომში გამოყენებულია ტექსტოლოგიური, ფსიქოლოგიური ანალიზის, ტიპოლოგიური, ფილოლოგიური კვლევის სტრუქტურულ-სისტემური კვლევის მეთოდი.

კვლევის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები: ადამიანური ურთიერთობის მრავალნაირი საშუალება არსებობს, მათ შორის, ვერბალურიც. მეტწილად, ვერბალური ურთიერთობა, სხვა მატერიალურ თუ სიმბოლურ საშუალებებთან ერთად, დამოუკიდებლად და პარალელურად ხორციელდება. სწორედ ეს აპირობებს იმ ლინგვისტურ მოვლენას (იგულისხმება როგორც პროცესი, ასევე შედეგიც), რომელსაც დისკურსი ეწოდება. დისკურსი ლინგვისტური სფეროს უზოგადესი კატეგორიაა[1].

ადამიანის ქცევა-მოქმედების დინამიური მაგალითების განმარტების პრობლემის გადაჭრაში ერთ-ერთი შედეგიანია ნარატივის კვლევა. ჰუმანიტარულ სფეროში, ნარატივის კვლევის განახლებული გაცხოველებული ინტერესი, უკავშირდება XX საუკუნის 80-იანი წლების "აღმოჩენას", რომ თხრობითი ფორმა

[1] Й. Брокмейер, Р. Харре ,Нарратив: проблемы и общения, "Вопросы Философии" №3, 2000, стр. 31.